# ქაცვის სამრეწველო პოტენციალის შეფასება ყაზბეგის რეგიონში

**ნინო ხარაზიშვილი**

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და საინჟინრო ფაკულტეტზე ბუნებათსარგებლობის (MBA ) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

**სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერერბათა სამაგისტრო პროგრამა**

**სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ი:** პროფესორი ზურაბ ჯავახიშვილი

პროფესორი დავით თარხნიშვილი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2015**

# სარჩევი


აბსტრაქტი

1. შესავალი ..... გვ. 3
   1.1. არამერქნული რესურსების აქტუალურობა ..... გვ. 5
   1.2. ქაცვის ჰაბიტატების საკონსერვაციო მნიშვნელობა ყაზბეგის რეგიონში ..... გვ. 7
2. საკვლევი ტერიტორია ..... გვ. 9
   2.1. კლიმატური და გეოგრაფიული დახასიათება ..... გვ. 9
   2.2. ფლორა და ფაუნა ..... გვ. 10
3. კვლევის მეთოდები ..... გვ. 12
4. კვლევის შედეგები ..... გვ. 14
5. დასკვნები და რეკომენდაციები ..... გვ. 33

მადლობა

გამოყენებული ლიტერატურა

დანართი

# აბსტრაქტი

მსოფლიოში გარემოსდაცვით და განვითარების თვალსაზრისით არამერქნული ტყის პროდუქციის მდგრადი გამოყენების იდეა ბოლო რამდენიმე ათწლეულია განსაკუთრებით მზარდ აქტუალობას იძენს. ამტპ (არამერქნული ტყის პროდუქცია)-ს წარმოადგენს ქაცვი (*Hippophae rhamnoides* L), აქედან გამომდინარე მისი მოხმარებისა და კონსერვაციის საკითხი ბევრს ქვეყანაში მათ შორის საქართველოში აქტუალურია. ჩემი კვლევის მიზანი, იყო შემეფასებინა ქაცვის ჰაბიტატების ეკონომიური და ეკოლოგიური როლი ყაზბეგის რეგიონში და წარმომედგინა არსებული პრობლემები რაც ექმნება ამ სახეობას აღნიშნულ რეგიონში. ქაცვი მოსახლეობის გარკვეული ნაწილისთვის დამატებითი შემოსავლის წყაროს წარმოადგენს და გარდა ამისა იგი დიდი კოჭობას (*Carpodacus rubicilla* K.) და თეთრთავა ბოლოცეცხლას (*Phoenicurus erythrogastrus* G.) საცხოვრებელია. ორივე სახეობის ფრინველი ფრინველებზე დაკვირვების მოყვარულებისთვის (Birdwatchers) ,,აუცილებლად" სანახავი სახეობების რიცხვს მიეკუთვნება. ჩემი გამოკითხვიდან ჩანს, რომ ქაცვი საქართველოში არც ისე პოპულარულია როგორც პროდუქტი, არასათანადო რეკლამირებიდან და ხარისხიდან გამომდინარე, მისდამი არასწორი დამოკიდებულების გამო, საკმაოდ დიდი პრობლემები ექმნება მის, ისედაც ფრაგმენტულად წარმოდგენილ ჰაბიტატებს აღნიშნულ რეგიონში. ამ პრობლემის მოგვარების ერთ-ერთ მთავარს გზას, ეკოგანათლება და სიტუაციის სწორად შეფასება წარმოადგენს, გარდა ამისა ეკო ტურიზმს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქაცვის ჰაბიტატების შენარჩუნების საქმეში.